ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 104

19 მარტი
"___" _____ 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ: 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის N ე-287-13-16084 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტისა და 127[2] მუხლის, ,,თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ამასთან, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ. 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის N ე-287-13-16084 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის ცვლილების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის №21.171.211 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ერმილე ნიკოლაიშვილს (პ/ნ: 01008005123) შორის 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-287-13-16084 ხელშეკრულებაში და „ბ" პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად; მხოლოდ ღობის მშენებლობის უფლებით", იმ პირობით, რომ ერმილე ნიკოლაიშვილი (პ/ნ. 01008005123) ამ განკარგულების გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში გადაიხდის სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 22

იანვრის №000354921 ექსპერტიზის დასკვნით დადგენილ ფასთა შორის სხვაობას - 3,346 ლარის ოდენობით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე